



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA



ომიდან ათი წლის შემდეგ

შედეგები და ჩეგავლენა კონფლიქტებით დაზარალებულთა
უფლებრივ მდგომარეობაზე

შესავალი

2008 წლის აგვისტოს მოვლენები მძიმე დარტყმა იყო საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისათვის. ომა ზიანი მიაყენა ადამიანურ ურთიერთობებს ქართველებსა და ოსებს, ისევე, როგორც ქართველებსა და აფხაზებს შორის და კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა არა მხოლოდ კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები, არამედ, კონფლიქტის მოგვარების გზებიც.

2008 წელს რუსეთის ფედერაციამ, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა და ამ რეგიონებსა და დანარჩენ საქართველოს შორის საკუთარი სასაზღვრო ჰარები განალაგა. შესაბამისად, იქ სადაც 10 წლის წინ ინტენსიური მიმოსვლა და ვაჭრობა მიმდინარეობდა, მჭიდრო იყო ნათესაური და მეგობრული კავშირები, დღეს რუსი მესაზღვრეები უკანონოდ აკავებენ, აჯარიმებენ და ერთეულ შემთხვევებში კლავენ კიდეც ადგილობრივ მოსახლეობას.

ომიდან 10 წლის თავზე, მძიმე რჩება კონფლიქტებით დაბარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. ადგილობრივ მოსახლეობას ყოველდღიურ რეჟიმში უწევს გადაადგილების თავისუფლების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან გამკლავება. მიუხედავად ამისა, ოკუპირებული რეგიონები საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების დაკვირვების მიღმაა დარჩენილი, რაც კიდევ უფრო ართულებს რუსეთის ფედერაციისა და მის მიერ მხარდაჭერილი დე ფაქტო რეჟიმების ანგარიშვალდებულების საკითხს.

კონფლიქტის პირდაპირი შედეგები

2008 წლის საომარი მოქმედებების დროს, UNHCR-ის მონაცემებით, 163 ათასი იძულებით ადგილნაცვალი პირი იყო რეგისტრირებული. მათ შორის 36 ათასი ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა და 2008 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით მათი დიდი უმრავლესობა უკან დაბრუნდა. დანარჩენი 127 ათასი დევნილი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდა. მათგან დაახლოებით 100 000 პირი 2009 წლისათვის სახლებს დაუბრუნდა.

1990-იანი წლებისა და 2008 წლის ომების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის რიცხვი მასშტაბურია: 278 103 იძულებით გადაადგილებული პირი, დაახლოებით 200 000-240 000 აფხაზეთის მკვიდრი (მათ შორის, გალის რაიონში მცხოვრები დაახლოებით 40 000 ეთნიკური ქართველი), დაახლოებით 20 000 - 30 000 ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მკვიდრი (მათ შორის, ახალგორის მუნიციპალიტეტის 1000-მდე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა) და კიდევ ბევრი, ვინც კონფლიქტის შედეგად დატოვა ქვეყნის ფარგლები და რომელთა შესახებაც მონაცემები არ მოიპოვება.

ეს ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით ნახევარ მილიონ ადამიანს პირდაპირ შეეხო ომი და ომით გამოწვეული მორალური და მატერიალური ზარალი. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია გადადგას ქმედითი ნაბიჯები მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად და დაპირისპირებული საზოგადოებების შესარიგებლად.

ხელისუფლებას ასევე აკისრია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებზე ზრუნვის ვალდებულება, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და ხელისუფლების გაცხადებული პოლიტიკის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეები არიან და მათ გარკვეულ ნაწილს უბრალოდ არ აქვს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2008 წლის საბრძოლო მოქმედებების შეფეხები

სულ დაიღუპა **850** ადამიანი

საბრძოლო მოქმედებების დროს საქართველოს მხრიდან დაიღუპა



სამხედროების/სამოქალაქო პირების
დაღუპვასთან და დაჭრასთან დაკავშირებით
მხარეებმა განაცხადეს კერძოდ:



180 ეროვნებით ქართველი
სამოქალაქო პირი
2018 წლის აგვისტოში
სამხრეთ რესეტმის
ტერიტორიაზე
ტყვედ იმყოფებოდნენ



2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად ქვეყნისათვის
მიყენებული მატერიალური ზარალი მთლიანად დათვლილი არ არის

1990-იანი წლების ომების დროს გაუჩინარებულად ითვლება:
2087 ქართველი, 123 აფხაზი და 101 ოსი პირი



შერნალისტებიდან

დაიღუპა
3

დაიჭრა
4

საოკუპაციო ხაზები მცხოვრები მოქალაქეების მდგრადარეობა

დღეისათვის რუსეთის ფედერაციას ცხინვალის რეგიონის 350 კმ-იან საოკუპაციო ხაზზე 1200 მეტაზღვრე ჰყავს განლაგებული, ხოლო აფხაზეთის 145 კმ-იან გამყოფ ხაზს 1500 მეტაზღვრე აკონტროლებს. მათი უშუალო მონაწილეობითა და ფინანსური მხარდაჭერით, ამ პერიმეტრებზე 2009 წლიდან აქტიურად დაიწყო უკანონო საზღვრის გავლების სამუშაოები, რაც გულისხმობს მავთულხლართების და ღობეების გავლებას, თხრილების გავეთებას, სათვალთვალო ბოძების ჩადგმას და მესაზღვრეების რეგულარულ პატრულირებას.

აღნიშნულმა პროცესმა პირდაპირი ზიანი მიაყენა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე 50 ზე მეტ სოფელში მცხოვრებ დაახლოებით 800 ოჯახს შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

კერძოდ, მოსახლეობას არ მიეწოდება სარწყავი წყალი, რადგან ორი არხი და ორი წყალსაცავი, რომლებიც სარწყავი წყლით ამარავებდა შიდა ქართლის სოფლებს, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა და დეფაქტო ხელისუფლებამ გადაკეტა. გარდა ამისა, გამყოფ ხაზზე განლაგებული სოფლების უმეტესობამ დავარგა სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები, რითაც მოსახლეობის მთავარი შემოსავლის წყარო - სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა დაიკარგა.

ბორდერიზაციის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა ვეღარ სარგებლობს ბუნებრივი რესურსებით – ტყით, საძოვრებით და ა. შ. ჭერ ისევ მოუგვარებელია ომის დროს დაბიანებული სახლების საკითხი შიდა ქართლისა და სამეგრელოს რეგიონის გამყოფ ხაზებზე, რომელთა მფლობელებსაც სახელმწიფოსგან კომპენსაცია არ მიუღიათ.

სოციალურ საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა ადგილობრივთათვის

დამახასიათებელმა კულტურულმა გარემომაც. აღმოიფხვრა მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის ტრადიცია, გაიყო ოჯახები, გაწყდა მეგობრული, ნათესაური, მეზობლური კავშირები, ადგილობრივებმა დაკარგეს წვდომა საფლავებზე, სალოცავებზე, რაც ქართული კულტურის და ტრადიციული ყოფის მნიშვნელოვანი ელემენტია, განსაკუთრებით კი რელიგიური დღესასწაულების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დაპირისპირების დასრულებიდან 10 წელი გავიდა, კვლავინდებურად გრძელდება გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის და იძულებით გადაადგილებულ პირთა სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები და უკანონო დაკავებები.

რეგულარული ხასიათი აქვს სამხედრო წვრთნებს უშუალოდ საოკუპაციო ხაზზე, რაც ადგილობრივთა მიერ აღიქმება, როგორც უსაფრთხოების პრობლემა და ახდენს მათ ხელახალ ტრავმირებას.

სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტები და რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა


2016-2018 წლები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა სიცოცხლის უფლების დარღვევის კუთხით. საქართველოს ორი მოქალაქე, ორივე იძულებით გადაადგილებული პირი, გამშვებ პუნქტებზე გადაადგილების დროს დე ფაქტო ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა უკანონო ქმედებებს ემსხვერპლა.

2016 წელს გიგა ოთხობორია ოკუპირებული აფხაზეთის გამყოფ ხაზზე აფხაზმა ე.ნ. „მესაზღვრემ“ მოკლა. 2018 წლის დასაწყისში კი, არჩილ ტატუნაშვილი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზზე დე ფაქტო ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა დააკავეს და ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც, სავარაუდოდ წამების შედეგად გარდაიცვალა. მისი ცხედარი ოჯახს მხოლოდ ერთი თვის დაგვიანებით, ისიც შინაგანი ორგანოების გარეშე გადაეცა, რამაც შეუძლებელი გახდა გარდაცვალების ზუსტი მიზეზების დადგენა.

საქართველოს საგამოძიებო უწყებებმა ორივე შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყეს სიცოცხლის ხელყოფასა და უკანონო დაკავებაში ბრალდებული პირების მიმართ, თუმცა, მათი პასუხისმგებაში მიცემა ვერ მოხერხდა დე ფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციისაგან თანამშრომლობაზე უარის გამო. სამწუხაროდ, მართლმსაჭულების აღუსრულებლობა კიდევ უფრო აუარესებს ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევა იმ გამშვებ პუნქტებზე მოხდა, რომლებსაც სრულად აკონტროლებენ რესეთის ფედერაციის სასაზღვრო ჰარები. ასევე, არჩილ ტატუნაშვილის ექსპერტიზა ჩატარდა რუსეთის ფედერაციაში და სწორედ იქ ინახება დღემდე მისი შინაგანი ორგანოები. აღნიშნული მიუთითებს საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის უფლების დარღვევაზე რუსეთის ფედერაციის, როგორც ოკუპირებულ რეგიონებში ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ქვეყანას პირდაპირ პასუხისმგებლობაზე.

ოკუპაციის პირდაპირი შეღებები 2008 წლიდან დღემდე



1992 წელს დაკავებული ტერიტორია
2008 წელს დაკავებული ტერიტორია

ჩამო საქართველოს ტერიტორიის

20%

2008 წლიდან დღემდე რესერტის საოკუპაციო პარების მიერ გავლებულია
მავთულებლართები და ხნულები

495 კმ-ზე მეტს შეადგენს საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე

48 კმ-ზე მეტი - მავთულებლართები
- დობევები
- მიწათხილები

ოკუპირებული
აფხაზეთის
მიმართულებით
145 კმ-ზა

ოკუპირებული
ტერიტორიის
რეგიონის
მიმართულებით
350 კმ-ზე მეტი

52 კმ-ზე მეტი - მავთულებლართები
- დობევები

0ძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

მოუგვარებელი კონფლიქტისა და უსაფრთხოების პრობლემების ფონზე, მძიმე რჩება იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა. ირღვევა მათი დაბრუნების და საკუთრების უფლებები, იზღუდება გადაადგილების თავისუფლება, ხოლო სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხშირ შემთხვევებში მძიმეა.

საქართველოში დღეს 88 823 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული. დევნილთა 52% ე.წ. კერძო სექტორში, 48% კი კომპაქტურ ჩასახლებებში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ ეტაპზე 52 008 დევნილი ოჯახი (რეგისტრირებულ დევნილთა 58%) კვლავ თავშესაფრის მიღების მოლოდინშია.

უაღრესად შემაშფოთებელია ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები, რაც ამ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის გაგრძელებას წარმოადგენს. 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, მთელი თვის განმავლობაში ოსური ფორმირებები ძარცვავდნენ და წვავდნენ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სახლებს. მომდევნო წლებში კი სახლები ბულდოზერებით გაასწორეს მინასთან. მაგალითად, 2018 წლს დე ფაქტო ხელისუფლებამ ოკუპირებული სოფლის - ერედვის ტერიტორია 268 სახლის ნანგრევებისგან გაწმინდა რუსეთის ფედერაციის ბიუკეტიდან დაფინანსებული „სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში. ანალოგიურად გაიწმინდა ოკუპირებული ქართული სოფელი თამარაშენი, სადაც ქართველების ნასახლარსა და სასოფლო-სამეურნეო დაწიწნულების მიწებზე რუსეთის ფედერაციის სამხედროებისათვის საცხოვრებელი კომპლექსი გაშენდა. სოფელ ძარცემის ტერიტორიაზე კი რუსეთის სამხედრო ბაზის საწვრთნელი პოლიგონი მოეწყო.

ოკუპირებულ აფხაზეთში, იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონება, რომელიც „უპატრონო“ ქონებად ითვლება, დე ფაქტო „სახელმწიფოს“ საკუთრებაში გადადის და იძულებით გადაადგილებულ პირებს სარგებლობის უფლება ეზღუდებათ. ხშირია შემთხვევები, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებას სხვა პირები უკანონოდ ეუფლებიან.

კონფლიქტებით დაზარალებული პირები

შეიძლება კონფლიქტები დაახლოებით 500 000 ადამიანს შეეხო, აქედან ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, ნაწილი იძულებით გადაადგილებული პირია

2017 წლის მდგომარეობით

საქართველოში რეგისტრირებულია

278 103 დაცილებული პირი
88 823 ოჯახი

26 395 დაცილებული იქმა
9 077 ოჯახი



მრავალვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია

35 927 ოჯახი
რაც დევნილთა საერთო რაოდენობის 42% შეადგენს



6 714 2008 წლის ომის შედეგად
გრძელვადიანი საცხოვრებლით
უზრუნველყოფილია

2008 წლის საომარი მოქმედებების დროს რეგისტრირებული იყო

163 000 დაცილებული პირი



36 000

გადავიდა ჩრდილოეთ
ოსათში

2008 წლის 3 სექტემბრისთვის დიდი
უმრავლესობა უკან დაბრუნდა

127 000

გადავიდა საქართველოს კონტროლირებად
ტერიტორიაზე

2009 წელს 100 000 პირი სახლებს დაუბრუნდა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებები

რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ და მათზე რუსეთის მიერ კონტროლის გაძლიერებამ მხოლოდ გააუარესა ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. გარდა ომის დამანგრეველი შედეგებისა, წლების განმავლობაში უარესდებოდა ჭანდაცვის და განათლების ხარისხი, გავრცელებულია ნეპოტიზმი და კორუფცია, მოსახლეობა სრულად დაუცველია ავტორიტარული მმართველობის წინაშე და აზრის თავისუფლად გამოხატვა „სამშობლოს ღალატს“ უტოლდება. მუდმივ წნევს განიცდიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მათი წევრები.

2014 წლიდან, ცხინვალში დაიხურა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, დევნას განიცდის ყველა ის პირი, ვინც აფიქსირებს კრიტიკულ მოსაზრებებს დე ფაქტო ხელისუფლებების მიმართ, ზეწოლა ხორციელდება იმ პირებსა თუ ორგანიზაციებზე, რომლებიც ნდობის აღდგენის და მშვიდობის მშენებლობის პროექტებში იღებენ მონაწილეობას და ურთიერთობენ ქართველ კოლეგებთან.

სახალხო დამცველის შეფასებით, ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ქართველი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით შევიწროვებას და უფლებების უგულვებელყოფას. ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოუწესრიგებლობა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომლებთან გამკლავებაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ყოველდღიურ რეჟიმში უწევს.

2015 წლიდან აფხაზეთში, ხოლო 2017 წლიდან ცხინვალის რეგიონში ქართულ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში სრულად აიკრძალა ქართულენოვანი განათლების მიღება და ის რუსულმა ენამ ჩაანაცვლა. სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც ასევე ცხოვრობენ ეთნიკურად სომხები და რუსები, ეს ცვლილებები არ შეხებიათ, რაც ქართველი მოსახლეობის მიმართ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციად უნდა შეფასდეს.

თამარ მეარაყიშვილის საქმე

2017 წელს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო სამართალდამცავებმა ორგანიზაციული უკანონობის აღუკვეთეს თავისუფლება ახალგორელ აქტივისტ თამარ მეარაყიშვილს და მის წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე ცილისწამებისა და დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით.

მეარაყიშვილი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა საერთაშორისო მედიასაშუალებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აქტიურად საუბრობდა ახალგორის რაიონში არსებულ პრობლემებზე, რაც გახდა კიდევ მასზე ზენოლის მიზეზი. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, მეარაყიშვილს უკანონობ აღუკვეთეს თავისუფლება და დღემდე გრძელდება მისი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნის მიზანია აიძულონ ის სამუდამოდ დატოვოს რეგიონი.





აფხაზეთის ქართველი მოსახლეობისთვის გამყოფ ხაზზე გადაადგილება განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა რაც, დე ფაქტო ხელისუფლებამ გამშვები პუნქტების დახურვის გადაწყვეტილება მიიღო და მხოლოდ ერთი, ენგურის გამშვები პუნქტი დატოვა.

შედეგად, გაორმაგდა მგზავრობის დრო და თანხა დაახლეობით 3 400 ოჯახისათვის და გამუდმებული რიგები წარმოიშვა ენგურის ხიდზე. ამ გადაწყვეტილებამ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა გლეხებს, რომელთაც მცირე ოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტებით ვაჭრობდნენ და ასევე ასაკოვან მოსახლეობას, რომელებიც ოჯახური კავშირების შენარჩუნების გარდა, სხვადასხვა სოციალური თუ ჭანდაცვის მომსახურების მიზნით კვეთდა გამყოფ ხაზს.

უკანონო დაკავებები

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ იდენტიფიცირებული შემთხვევები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართულებით.

დაკავებულთა საერთო რაოდენობა



რესეთის და დე ფაქტო ხელისუფლებების განცხადებით აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე დაკავებულთა რაოდენობა 2009-2017 წლებში 15 000 შეადგინდა, ხოლო ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 2016-2017 წლებში დაკავებულთა რაოდენობა 1 063 იყო.

სახალხო დამცველის საქმიანობა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით

საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, სახალხო დამცველი აკვირდება საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობას და რეაგირებს დარღვევის ფაქტებზე. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და პრიორიტეტი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგია.

მიუხედავად რუსეთის ფედერაციისა და დე ფაქტო ხელისუფლებების მიმართ არაერთი რეკომენდაციისა და მოთხოვნისა, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ან სადამკვირვებლო ორგანიზაციებს არ აქვთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლისა და მონიტორინგის შესაძლებლობა, შესაბამისად, მნირია ინფორმაცია ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს ამ ტერიტორიებზე უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას როგორც და, ისე საკუთარი წყაროების მეშვეობით.

საქართველოს სახალხო დამცველი პირადად ხვდება ადგილობრივ მოსახლეობას მავთულხლართების გავლების შედეგად დაზარალებულ სოფლებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. მხოლოდ 2017 წელს, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა 300-ზე მეტი ვიზიტი განახორციელეს ყოფილ კომპაქტურ ჩასახლებებში და 850-ზე მეტ დევნილს გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაცია. კონფლიქტით დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს ცალკე ქვეთავები ეთმობა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში. 2014-2017 წლებში სახალხო დამცველმა კონფლიქტებით დაზარალებულ პირთა დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით 9 წინადადება/რეკომენდაცია წარუდგინა საქართველოს მთავრობას და ერთი საკანონმდებლო წინადადება წარუდგინა საქართველოს პარლამენტს, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის მიზნით 14 წინადადება/რეკომენდაცია გაეგზავნა შესაბამის უწყებებს.

კონფლიქტით დაზარალებულთა უფლებები

სახალხო დამცველის პაპარატის შეიმუშავა 2016-2020 წლების სტრატეგია და 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა, მოამზადა 11 სპეციალური ანგარიშები:

11 გადასასვლელების გაუქმების გაცლენა
აფხაზთის გამყოფ საზოგ მცხოვრები
მოსახლეობის უფლებრივ
მდგომარეობაზე

10 სპეციალური საინფორმაციო
ნარკვევი ადმინისტრაციულ
საზღვარზე დაკავებებისა და
პატიმართა მდგომარეობის შესახებ

9 სპეციალური ანგარიში –
„ზარდიანთვარი: ომის შედეგები
და არსებობის სიძიმე“

8 საქართველოში მცხოვრები
ოსური თემის მიგრაცია და
მოქალაქეობასთან დაკავშირებული
ცალკეული პრობლემები

7 კონფლიქტებით დაზარალებული
მოსახლეობის უფლებრივი
მდგომარეობა საქართველოში
(2014 წელი)

1 კონფლიქტით დაზარალებული
მოსახლეობის უფლებრივი
მდგომარეობის შესახებ
(2016 წელი)

2 ქალთა და ბავშვთა უფლებები
კონფლიქტებით დაზარალებულ
რეგიონებში
(2014-2016 წლების მიმოხილვა)

3 „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“
საქართველოს კანონის ანალიზი და
რეკომენდაციები

4 ადამიანის უფლებების
მდგომარეობა
სამეგრელო-ზემო სვანეთის
გამყოფი ხაზის სოფლებში

5 კონფლიქტით დაზარალებული
მოსახლეობის უფლებრივი
მდგომარეობა საქართველოში
(2015 წელი)

6 განათლების უფლება
გაღის რაიონში:
2015-2016 სასწავლო წლის
სიახლეები და თანმდევი
პრობლემები



სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და პრიორიტეტი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი

სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი ხელმისაწვდომია ასევე აფხაზურ ენაზე, მათ შორის აფხაზურ ენაზეა ხელმოსაწვდომი სპეციალური ანგარიშები

პონტემი

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, თბილისი 0112

ტელ: +995 32 2234499/+995 322 995898

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

გემო სვანეთი

სეტის მოედანი N19

მობ: 596 17 41 41

ოზურგეთი

ჭავჭავაძის N14
ტელ: 0496 27 30 53
მობ: 593 44 44 27

ახალქალაქი

ჭავჭავაძის N4
ტელ: 0362 22 32 83
მობ: 577 12 27 70
591 96 88 82

გუგდიდი

კოსტავას N58
ტელ: 0415 22 36 11
მობ: 595 52 53 56

ბათუმი

მაზნიაშვილის N9
ტელ: 0422 27 05 44
მობ: 595 80 78 43

მარნეული

რუსთაველის N51
ტელ: 0357 22 19 70
მობ: 595 52 53 57

გორი

სამების N1
ტელ: 0370 27 05 49
მობ: 551 66 14 77

ქუთაისი

რუსთაველის N18
ტელ: 0431 25 33 50
მობ: 577 55 33 81

თელავი

ჩოლოებელის N3
ტელ: 0350 27 99 27
მობ: 591 88 35 38

ცხელი ხაზი - 1481



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და არ წიმნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.